ურთიერთგაგების მემორანდუმი
USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამას
და
სსიპ ონის მუნიციპალიტეტს
შორის

მემორანდუმი განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამასა[1] და ონის მუნიციპალიტეტს (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) შორის, (შემდგომში წოდებულნი როგორც „მხარეები"), თანამშრომლობის პირობებს. მემორანდუმის მიზანი მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარება, საერთო მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებისა და რესურსების კოორდინირება და შეთანხმებული პროექტების განხორციელებაა. წინასაწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მხარეები მჭიდრო თანამშრომლობაზე თანხმდებიან.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა (შემდგომში წოდებული როგორც „პროგრამა") არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხუთწლიანი პროგრამა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებს, რომლებიც ისწრაფვიან ინკლუზიური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ და აქვთ უნარი გაუმკლავდნენ არსებულ და შესაძლო რისკებს. USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის სამიზნე არეალი მოიცავს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე 11 მუნიციპალიტეტსა და 93 ადმინისტრაციულ ერთეულს.

ონის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომელსაც აქვს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილება და წამყვან როლს ასრულებს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, აწვდის მათ ინკლუზიურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ მუნიციპალურ სერვისებს, მუნიციპალიტეტის გაძლიერების მიზნით თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შესაბამისად, ხელს უწყობს საქართველოს დეცენტრალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას.

[1] პროგრამას ახორციელებს არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია-CNFA (Cultivating New Frontiers in Agriculture)

1. მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეთა შორის თანამშრომლობის პირობების განსაზღვრა, რაც გულისხმობს სამიზნე მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ღონისძიებებისა და რესურსების კოორდინაციას და შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებას. მხარეთა შორის თანამშრომლობა ურთიერთპატივისცემასა და საერთო ინტერესებს ეფუძნება და ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.

მემორანდუმის ხელმოწერით, მხარეები გამოხატავენ მზაობას, გააგრძელონ ონის მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თანამშრომლობის სფერო

ონის მუნიციპალიტეტისა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ადმინისტრაციული ერთეულების სოციალური-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგი მიმართულებებით თანამშრომლობაზე:

2.1 საერთო აქტივობები

1. მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის შექმნა და მისი მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტსა და მის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში;

2. სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა და მისი შესაძლებლობების გაძლიერება; მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის მხარდაჭერა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების აქტიური ჩართულობის გზით;

3. კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) გეგმის შემუშავების პროცესის მხარდაჭერა ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით. კატასტროფების რისკის შემცირების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს საგანგებო

სიტუაციების მართვის სამსახურის[2] პოლიტიკასა და პრინციპებს, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ დონეზე კატასტროფების რისკის შემცირებაზე პასუხისმგებელ მთავარ უწყებას;

4. შეფასების კრიტერიუმების შემუშავება იმ მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების შესარჩევად, რაც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას;

5. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მხარეებმა შესაძლოა ითანამშრომლონ სხვა სფეროებში.

2.2 თანამშრომლობის მექანიზმები

წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ზოგად მიმართულებებს. პროგრამა, ასევე, გეგმავს მუნიციპალური განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებას, რომელთა გამოვლენა მოხდება მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების შემდეგ. გამოვლენილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება ცალკე, ან ამ მემორანდუმის დანართის სახით და განსაზღვრავს თითოეული მხარის პასუხისმგებლობას, ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესში.

2.3 USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა ხელს შეუწყობს

1. „საერთო აქტივობებში" განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომლების, სამუშაო ჯგუფისა და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების გაძლიერების გზით, ვინც მუნიციპალური განვითარების სტრატეგიასა და კატასტროფების რისკის შემცირების გეგმაზე იმუშავებს;

2. ონის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიისა და კატასტროფების რისკის შემცირების გეგმის შემუშავების პროცესს მასში კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლების ეფექტური ჩართულობის გზით.

---

[2] საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

2.4 ონის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს:

1. მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებას;
2. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში, მუნიციპალიტეტის მერიის ან/და მისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობას;
3. კატასტროფების რისკის შემცირების გეგმის შემუშავების პროცესში, მუნიციპალიტეტის მერიის ან/და მისი სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის წარმომადგენლების აქტიურ ჩართულობას; კატასტროფების რისკის შემცირების გეგმის განხორციელებაში ჩართულ ყველა მხარეს შორის ეფექტიან კომუნიკაციას;
4. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შესახებ საჯარო განხილვებს და სტრატეგიის პროექტის წარდგენას განსახილველად;
5. საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებას და შეთანხმებული ღონისძიებების შესახებ სამიზნე ადმინისტრაციული ერთეულების ინფორმირებას.

3. მხარეთა ურთიერთობა

ა. წინამდებარე მემორანდუმი გამოხატავს მხარეთა სურვილს, ითანამშრომლონ საერთო ინტერესებისა და შესაძლებლობების ფარგლებში;

ბ. USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა და ონის მუნიციპალიტეტი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციებია. რომელიმე მხარის თანამშრომელი ან წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს მეორე მხარის თანამშრომელი ან წარმომადგენელი. არც ერთმა მხარემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი თავი, პირდაპირ ან ირიბად, როგორც მეორე მხარის წარმომადგენელი, თანამშრომელი ან კანონიერი წარმომადგენელი. არც ერთ მხარეს აქვს უფლება აიღოს რაიმე სახის ვალდებულება ან პასუხისმგებლობა მეორე მხარის სახელით. მხარეები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ ამ მემორანდუმში განსაზღვრული საქმიანობების შესრულებაზე და სხვა პასუხისმგებლობები არ გააჩნიათ;

გ. მემორანდუმი არ არის სამართლებრივად მბოჭავი დოკუმენტი. მემორანდუმი არ ანიჭებს იურიდიულ უფლებას და არ აკისრებს ვალდებულებებს რომელიმე მხარეს, არამედ ასახავს მხოლოდ მხარეთა კეთილსინდისიერ ზრახვებსა და მოლოდინებს;

დ. მემორანდუმი არ ქმნის რაიმე საკონტრაქტო, ფინანსურ ან სხვა სამართლებრივ ვალდებულებებს რომელიმე მხარისთვის. ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ხარჯზე, პასუხისმგებლობაზე, ზარალზე, პრეტენზიაზე ან სამართალწარმოებაზე არც ერთი მხარე იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის მიმართ. ასევე, არც ერთი მხარე იქნება პასუხისმგებელი მეორის წინაშე ამ მხარის მოგების ან ზარალის, ბიზნესის ზარალის ან ირიბი ზიანის გამო;

ე. რომელიმე მხარის მიერ აღებული ნებისმიერი ვალდებულება ან პასუხისმგებლობა უნდა ჩამოყალიბდეს წერილობით ცალკე ხელშეკრულების სახით, რომელსაც ხელს მოაწერს თითოეული მხარის უფლებამოსილი პირი და ძალაში შევა მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ.

4. კონფიდენციალურობა

ა. „კონფიდენციალური ინფორმაცია" არის ნებისმიერი ინფორმაცია, წერილობითი თუ ზეპირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არის მოწოდებული USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის ან ონის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ ამ მემორანდუმის შესაბამისად. მხარეები აცნობიერებენ კონფიდენციალური ინფორმაციის არსს და თანხმდებიან, რომ არ გასცემენ მას მესამე მხარეზე ნებისმიერი მიზნით მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

ბ. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ერთ-ერთი მხარის მიერ არის გაზიარებული, წარმოადგენს ამ უკანასკნელის საკუთრებას და მეორე მხარეს არ გააჩნია ამ ინფორმაციაზე რაიმე სახის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე გამოხატავს თანხმობას ამ პირობაზე;

გ. მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი არ გაამჟღავნებენ წინამდებარე მემორანდუმის პირობებსა და ნებისმიერ სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მოცემული იყოს წინამდებარე მემორანდუმში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) ინფორმაციის გათქმა შეთანხმებულია წერილობითი ფორმით; ბ) ინფორმაციის გამჟღავნება ლოგიკურად დაკავშირებულია იმ მხარის ვალდებულებების შესრულებასთან, რომელიც გაამჟღავნებს ამ ინფორმაციას; გ) ინფორმაციის გამჟღავნება ხდება ამ მხარის თანამშრომლებისთვის, დირექტორებისთვის ან კონსულტანტებისთვის, მაგრამ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში; დ) მხარე ინფორმაციას უზიარებს თავის ადვოკატებს, ბუღალტერებს ან სხვა პროფესიონალ მრჩევლებს კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არსებითად ამ დებულების იდენტურია, ან ე) ინფორმაციის გამჟღავნება ხდება

სავალდებულო სამართლებრივი პროცესის ან რომელიმე კომპეტენტური სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად;

დ. ამ მემორანდუმის შეწყვეტის ან ვადის ამოწურვის შემთხვევაში, მხარეთა ეს ვალდებულებები გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა კონფიდენციალური ინფორმაცია არ გახდება საჯაროდ ცნობილი და ხელმისაწვდომი.

5. ანგარიშგება

მხარეები თანხმდებიან, ჰქონდეთ ღია და კონსტრუქციული კომუნიკაცია შესაბამისი ინფორმაციის შესახებ და ორმხრივად შეთანხმდნენ ანგარიშების შედგენასა და მეორე მხარისთვის გაზიარების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო იქნება უფრო ხშირი კომუნიკაცია, ან/და ფინანსური/პროგრამული ანგარიშგება, მხარეები თანხმდებიან, რომ ისინი ითანამშრომლებენ ანგარიშგების მექანიზმების შემუშავებაზე, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით გაცხადებული მიზნის მიღწევას.

6. მხარეების ფინანსური პასუხისმგებლობები

მხარეები აღიარებენ და თანხმდებიან, რომ ეს მემორანდუმი არ აკისრებს რომელიმე მხარეს რაიმე ფინანსურ ვალდებულებას. თუ ამ მემორანდუმის პირობების შესრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერა გახდება საჭირო, თითოეული მხარე პასუხისმგებელია სრულად დაფაროს ხარჯები, რომელიც საჭირო იქნება მე-3 ნაწილში მითითებული აქტივობების შესრულებისთვის. თითოეულ მხარეს ეკისრება საკუთარი ხარჯები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება ამ მემორანდუმის, მისი შესრულების, შესწორების ან განვრცობის გამო, და არც ერთი მხარე იქნება პასუხისმგებელი ამ მემორანდუმთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ აღებულ რაიმე სახის ხარჯებზე, გაწეულ ვალდებულებებზე ან სხვა პასუხისმგებლობაზე.

მხარეებს შეუძლიათ შეცვალონ მემორანდუმის ეს ნაწილი და დაამატონ ხარჯების ბიუჯეტი იმ შემთხვევაში, თუ მე-3 ნაწილში მითითებული პასუხისმგებლობის შესრულებასთან დაკავშირებით მეორე მხარისთვის ფინანსური ვალდებულებების და გადახდების შესახებ ინფორმაციის დამატება იქნება საჭირო.

7. კომუნიკაცია

ყველა ოფიციალური შეტყობინება ან კომუნიკაცია, რომელიც გამომდინარეობს ამ მემორანდუმიდან, უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ამ მემორანდუმთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე კომუნიკაცია უნდა მოხდეს შემდეგ პირებთან:

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა
წარმომადგენელი: დინა კარიჩი
თანამდებობა: პროგრამის ხელმძღვანელი

ონის მუნიციპალიტეტი
წარმომადგენელი: სერგო ხიდეშელი
თანამდებობა: ონის მუნიციპალიტეტის მერი

თუ შეიცვლება მხარეების აქ მითითებული ინფორმაცია, მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს ასეთი ცვლილების შესახებ.

8. ვადა, შეწყვეტა და შესწორება

ა. მემორანდუმი ძალაშია ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერისთანავე 2027 წლის 31 იანვრამდე, თუ არ მოხდება მისი შეცვლა, შეწყვეტა ან განახლება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ. მემორანდუმი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ წერილობით, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესწორების საფუძველზე;

გ. ეს მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს რაიმე მიზეზის საფუძველზე ან უმიზეზოდ, რომელიმე მხარის მიერ შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, რომელიც მეორე მხარეს უნდა გადაეცეს პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ამ მემორანდუმის მე-7 ნაწილში მითითებულ მისამართზე.

9. დავების გადაწყვეტა

მიუხედავად იმისა, რომ ეს მემორანდუმი არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებას, მხარეებს შორის დავის შემთხვევაში, ისინი თანხმდებიან გამოიყენონ კეთილი ნება ამ მემორანდუმის შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი დავის ან პრეტენზიის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. თუ მხარეები ვერ შესძლებენ დავის მოგვარებას, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ, შეწყვიტონ ეს მემორანდუმი მე-8 ნაწილში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რაც მეორე მხარეს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს.

10. მარეგულირებელი კანონი

ორივე მხარე თანხმდება, რომ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, ღონისძიებების განხორციელებისას სრულად დაიცავს საქართველოს კანონმდებლობას.

წინამდებარე მემორანდუმი მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს მემორანდუმის ერთი ეგზემპლარი. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დოკუმენტს ქართულ ენაზე.

მემორანდუმის მხარეების უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა, ამ მემორანდუმს ორმხრივად მოაწერეს ხელი, ქვემოთ მითითებულ დღეს და ადასტურებენ, რომ წაიკითხეს, გაიგეს და დაეთანხმნენ ამ მემორანდუმის წესებსა და პირობებს.

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა
წარმომადგენელი: დინა კარიჩი

თანამდებობა:
პროგრამის ხელმძღვანელი

ონის მუნიციპალიტეტი
წარმომადგენელი: სერგო ხიდეშელი

თანამდებობა:
ონის მუნიციპალიტეტის მერი

თარიღი: 21 მარტი, 2023 წელი